ოქმი N 20

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მე-20 სხდომისა

სხდომის ჩატარების დრო

8 ივნისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი

ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე-2
სართულზე არსებული სხდომათა დარბაზი

ფრაქციის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი მარეხ ნიჟარაძე.

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ბასილაძე გია, ჩიხლაძე მანანა, ლილუაშვილი პაატა, მახარაძე ბაქარ, ნიჟარაძე მარეხ, შენგელია ირაკლი, ნადირაძე თეიმურაზ, რიჟამაძე მამუკა, კოპალეიშვილი ამირან, ბიბილეიშვილი ჯემალ, მამასახლისი ზაქრო,გიორგაძე მიხეილ

სულ: 12 წევრი

ფრაქციის სხდომას არ ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ხამაშურიძე ბესიკი,ჯუღელი თეა,მხეიძე დიმიტრი,სიმონიძე მაია,კოსტავა მაგდა

სულ: 5 წევრი

სხდომა გახსნა ფრაქციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხ ნიჟარაძემ და წარმოადგინა ფრაქციის მე-20 სხდომის შემდეგი **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' შემადგელობაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე
ფრაქცია,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარე

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის მე-20 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით პირველი საკითხის – .ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების'' შემადგელობაში ცვლილებვის შეტანის შესახებ

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაცია გააკეთა ფრაქციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ**. მან აღნიშნა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა მიხეილ გიორგაძემ მომმართა განცხადებით ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ მიღების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ ის საკრებულოს წევრად არჩეულია პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარდგენით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მისი განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში მიღების შესახებ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის წევრებმა: **ტატო ლილუაშვილმა,მამუკა რიჟამაძემ და თემურ ნადირაძემ** მხარდაჭერა გამოხატეს ფრაქციაში საკრებულოს წევრის, მიხეილ გიორგაძის მიღებასთან დაკავშირერბით .

ფრაქციის წევრმა: **მანანა ჩიხლაძემ:** მივესალმები ბატონი მიხეილ გიორგაძის ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' წევრად მიღებას, ვფიქრობ, რომ მისი გამოცდილება და კომპეტენცია გამოადგება ფრაქციას მუშაობის პროცესში.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. დაკმაყოფილდეს საკრებულოს წევრის, მიხეილ გიორგაძის განცხადება საკრებულოს ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანების თაობაზე.

მუხლი 2. ზემოაღნიშნული ცვლილებები აისახოს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში.

მუხლი 3. ზემოხსენებული გადაწყვეტილებების თაობაზე ეცნობოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით მე-2 საკითხის – **.ქალაქ ქუთაიუსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია,, ქართული ოცნების'' შემადგელობაში ცვლილების შეტანის შესახებ**

გადაწყვეტილება ეცნობოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.

ამით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ მე-20 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“

თავმჯდომარე მარეხ ნიჟარაძე